

სექტემბრის ჩათვლით. ზიანდება ღერო ფესვის ყელთან და მცენარის მიწისზედა ნაწილები.

დაცვის კომპლექსური აგროტექნიკური ღონისძიებანი

ზემოთ არნიშნულ მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად მაქსიმალური ეფექტის მომცემა ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების ჩატარება, როგორცაა თესლბრუნვისა და თესვის ვადების დაცვა, სარწყავ ფართობებში ზომიერი მორწყვა, სარეველა ბალახების წინააღმდეგ როგორც მექანიკური ისე



ქიმიური მეთოდების გამოყენება. ნაკვეთების გარშემო და გზისპირებზე სარეველების გათიბვა, ნათესების ორჯერადი გათოხვნა და მოსავლის აღების შემდეგ მცენარეული ნარჩენების ნაკვეთიდან გამოტანა და დაწვა.

ქიმიური ღონისძიებების ჩატარებისას რაკომენდირებული პესტიციდები და მათი გამოყენების დოზები

დეცისი - ეკ-0,5-0,7 ლ/ჰა; არივო-ეკ-0,15-0,32 ლ/ჰა; რივომეტრინი - ეკ0,15-0,35 ლ/ჰა; კარატე ზეონი, კარატე - ეკ-0,2 ლ/ჰა; ვალსამბა-ეკ0,25-0,4 ლ/ჰა; კაიზო 0,2 კგ/ჰა; დელტა 12,5-ეკ-0,1-0,14 ლ/ჰა; პროტეუსი ზდ-110-0,75 ლ/ჰა; პროკლეიმი 0,5 ხხგრ-0,3-0,4 კგ/ჰა და სხვა.

ქიმიური შესუბრება(ნამლობა) ძირითადად ტარდება პირველ და მეორე თაობის მავნებლების წინააღმდეგ ვეგეტაციის პერიოდში. ლოდინის ვადა 20 დღეა.

არაეფექტურია ქიმიური პრეპარატების გამოყენება ბოლო ასაკის მატლების წინააღმდეგ.

გახსოვდეთ!

- ქიმიური საშუალებების გამოყენებისას დაცავით უსაფრთხოების ზომები და გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.
- დაცავით ლოდინის ვადა, რაც იმას იშნავს, რომ ბოლო ქიმიური ნამლობის შემდეგ 20 დღის განმავლობაში დამუშავებული ფართობიდან ნაყოფის გამოყენება არ შეიძლება.

კონსულტაციისათვის მიმართეთ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა) იპ „აგროსერვის ცენტრს“. ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქუჩა №46ა.



ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის
კონსულტანტი
ნუგზარ ოქროპირიძე -
ქ. ბათუმი 599 89 89 50

მისამართი: საპატარძლო, ბათუმი, 6010,
ი. გომეზაშვილის ქუჩა № 46^ა
მელ.: +995 (422) 27 96 02
www.agroc.ge
მხელეი ხაზი: +995 599 54 69 84



სიბინდი

სიბინდის მოვლა-მოყვანის თანამართლვა თანერეკონს და მასზე გატარდებულ მავნებელთა დაავადებების აღმოფხვრის ღონისძიებები



სიმინდის სასაღებო-სამეურნეო მნიშვნელობა და მისი მოვლა-მოყვანის აბრუტაქინია



სიმინდი მარცვლეულ კულტურათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული კულტურაა მსოფლიოში. ნათესი ფართობების მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს. საქართველოში პირველად იგი ამერიკის კონტინენტიდან XVI საუკუნეში შემოიტანეს. დღეისათვის მას საქართველოში 200000 ჰა უკავია. მისი მარცვლისაგან მიიღება სიმინდის ფქვილი, ლერლილი, სიმინდის ფანტელი, კონსერვები, ბადაგი, შაქარი, ზეთი და სხვა. ფართოდ გამოიყენება იგი მეცხოველეობაში და მეფრინველეობაშიც. ამიტომ მაქსიმალური მოსავლის მისაღებად აუცილებელია დავიცვათ აგრონომებით გათავლისწინებული მოთხოვნები. იგი კარგად ვითარდება თიხნარ და მსუბუქ ნიადაგებზე, ცუდად ძლიერ მყავე, ბიცობ, მლაშე, მძიმე თიხნარ და ქარბტენიან ნიადაგებზე.

სიმინდის ქვეშ ნიადაგის მოხვნამდე აუცილებელია ფართობის განმენდა სიმინდის ლეროსა და სხვა ნარჩენებისაგან, რომელიც წარმოადგენს მავნებელ-დაავადებათა (სიმინდის რეროს ფარვანა, მდელოს ხვატარი, მდელოს ფარვანა, გუდაფშუტა და სხვა) გავრცელების კერას.

ნიადაგი უნდა დამუშავდეს 22-25 სმ-ის სიღრმეზე და თანმიყოლებით უნდა დაიფარცხოს. ნიადაგში თესვის წინ დამუშავებისას უნდა შევიტანოთ მინერალური სასუქები. ფოსფოროვანი 90კგ/ჰა, კალიუმიანი 60-70კგ/ჰა, აზოტოვანი 100კგ/ჰა ორჯერადი შეტანით. ამასთან აზოტოვანი სასუქების

მეორე დოზა უნდა შევიტანოთ ნათესების პირველადი გათოხნის შემდეგ ნიადაგში ჩაკეთებით. ძალიან კარგ შედეგს იძლევა მოხვნის წინ ორგანული სასუქების (გადამწვარი ნაკელი, ტორფ-კომპოტი და სხვა) შეტანა 3ა-ზე 30-40 ტონის ოდენობით. ნებისმიერ შემთხვევაში სასუქების შეტანა სასურველია ნიადაგის აგროქიმიური გამოკვლევის საფუძველზე.

სიმინდი ითესება როცა ნიადაგის ტემპერატურა სახნავ ფენაში 10-11°C-ის ფარგლებშია. დროში იგი ჩვენს პირობებში აპრილის ბოლოს მაისის პირველ ნახევარს ემთხვევა. თესვის ნორმაა 35-40კგ/ჰა. ამასთან სასურველი და აუცილებელია სათესლე მასალა იყოს კონდიციონებული და შესაბამისი პრეპარატებით დამუშავებული.

აღმონაცენის მოვლაში იგულისხმება მისი გამობზირვა (3-4 ფოთლის ფაზაში) ორჯერადი გათოხნა და რიგთაშორისების კულტივაცია. მეორე გათოხნის დროს აუცილებელია მცენარეუ მინის შემოყრა, რათა მცენარემ ადვილად განავითაროს საჭიერო ფესვები, რათა მცენარის დგომას მეტი სიმტკიცე მიეცეს. სადაც ტენის დეფიციტია მინის შემოყრის ნაცვლად აუცილებელია ნათესების მორწყვა, რაც მოსავლიანობას 10-15 ტონამდე ზრდის.



ადგილობრივი პირობებისათვის უმჯობესია სათესლე მასალად გამოვიყენოთ ისეთი უნიკალური ქართული ჯიშები როგორცაა აჯამეთის თეთრი, აჯამეთის ყვითელი, გეგუთის თეთრი, აბაშის ყვითელი, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში 60-80 ტონა მოსავალს იძლევა, მორწყვის პირობებში კი უფრო მეტს. ჰიბრიდული სიმინდის სათესლედ

გამოყენების შემთხვევაში კარგია სპეციალური ჯიშმა „ლომთაგორას“ მიერ გამოყვანილი ჯიშების ლომთაგორა 1,2,3,4,5-ის დათესვა, რომელთაგან თითოეული ჯიში განკუთვნილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისათვის.

სიმინდის მავნებელი - მანათხველი და მათთან ბრძოლის ღონისძიება

სიმინდის ლეროს უარვანა

სიმინდის ნათესებს ხშირად აზიანებს სიმინდის ლეროს ფარვანა. მავნებელი იზამთრებს სიმინდის ლეროში მატლის ფაზაში. დაჭურვებამდე აშხადებს ხერვლს პეპლის გამოსაფრენად, ხოლო დაჭურვებას



ინყებს, როცა ჰაერის ტემპერატურა 15-16°C მიაღწევს. როგორც ნესი მავნებელი ორ თაობას იძლევა. მისი პირველი თაობის მავნეობა გრძელდება მაისის ბოლოდან

მთელი ივნისის თვის განმავლობაში, ხოლო მეორე თაობისა კი ივლისის ბოლოდან აგვისტოს ბოლომდე. პეპელა კვერცხებს დებს ჯგუფურად ფოთლის ქვედა მხარეზე და ფარავს სეკრეციის აპკით. კვერცხებიდან გამოჩეკილი მატლები აზიანებს მცენარის რეროს, ფოთოლსა და ტაროს.

მდელოს ხვატარი და მდელოს უარვანა

მავნებელი იზამთრებს ნიადაგში და მცენარის ნარჩენებში (უფრო მეტად სიმინდის ლეროებში) ზრდასრული მატლის ფაზაში. გაზაფხულზე იჭურება და მათგან პეპელა გამოფრენას იწყებს, როცა ჰაერის ტემპერატურა 15°C-ს მიაღწევს. მდელოს ხვატარი იძლევა სამ თაობას, ხოლო



მდელოს ფარვანა ოთხ თაობას. მავნებლის მავნეობა იწყება აპრილში და გრძელდება მთელი ვეგეტაციის პერიოდში